ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება საერთაშორისო ხელშეკრულებების მეშვეობით, ასოცირების ხელშეკრულება და მისი მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის

ნათია ტეტუნაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
ელ.ფოსტა: natiatetunashvili@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია საერთაშორისო ხელშეკრულებების არსი და მისი მნიშვნელობა ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების კუთხით, ასევე მაქსიმალურად დეტალურად არის განხილული და აღწერილი დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური საერთაშორისო ხელშეკრულების - „ასოცირების ხელშეკრულების" არსი, მისი სტრუქტურა და მნიშვნელობა.

განხილულია, თუ რა ვალდებულებებსა და მოვალეობებს აკისრებს აღნიშნული ხელშეკრულება მის მონაწილე სახელმწიფოებს და ზოგადად რა მიზანს ემსახურება ეს ხელშეკრულება.

ასევე განხილულია, თუ რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოუტანოს „ასოცირების ხელშეკრულებამ" საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ხელშეკრულება, ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, საერთაშორისო თანამშრომლობა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, ეკონომიკა.

შესავალი

საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის დადებულ წერილობით შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს მათ შორის ურთიერთობების ზოგად ან კონკრეტულ საკითხებს. საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც წესი, ნიშნავს ხელშეკრულებას სახელმწიფოებს შორის. ასეთი ხელშეკრულებებით მხარეები ანუ ქვეყნები, რომლებმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, იღებენ გარკვეულ ვალდებულებებს ერთმანეთის წინაშე. ხელშეკრულებების დადების, გაუქმების, მოქმედების საკითხები კი საერთაშორისო სამართლით რეგულირდება. საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კონსტიტუციურ კანონსა და საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

ქვემოთ მოცემულია, თუ რა ეტაპები გაიარა საქართველომ „ასოცირების ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით.

1. „ასოცირების ხელშეკრულება", მასზე ხელის მოწერა

ვილნიუსის სამიტი საქართველოსთვის ისტორიული გამოდგა. ქართულმა მხარემ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება დაასრულა,ისტორიული შეთანხმების მნიშვნელობას ქართველი ექსპერტები განსხვავებულად აფასებდნენ. მათი უმრავლესობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების

დადებას საქართველოს ისტორიული ოცნების, ევროპულ ოჯახში შესვლის წინაპირობად აფასებდა, უმცირესობის აზრით კი, ევროპის ასოცირებული წევრობა საქართველოს დამღუპველ შედეგებს მოუტანდა, თუმცა პესიმისტებიც და ოპტიმისტებიც ერთ საკითხში თანხმდებიან- ისინი აფასებედნენ დოკუმენტს, რომელიც თვალითაც არ უნახავთ და მისი შინაარსის შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ. ყველაფრის მიუხედავად საქართველომ და ევროკავშირმა 27 ივნისს ბრიუსელში ევროპული საბჭოს შეხვედრის ფარგლებში ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპუიმ, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუალ ბაროზომ და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოსა და მთავრობების მეთაურებმა, რომლებიც ასევე იღებდნენ მონაწილეობას ცერემონიაში.

ასოცირების შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის ვაჭრობაში, საბაჟო პროცედურებსა და ხარისხის კონტროლში, არ იძლევა ევროკავშირში საბოლოო გაწევრიანების პირობას, მაგრამ შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები და დაახლოების პროცესი განიხილება, როგორც პოტენციური წევრობისთვის მომზადება.

ასოცირების ხელშეკრულება არის ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობაზე შეთანხმება. თანამშრომლობა, ზოგადად, მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო, სოციალურ, კულტურულ და უსაფრთხოების სფეროებს. ასოცირების ხელშეკრულების სამართლებრივ ბაზად მიიჩნევა „ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების" (1957წ) 127-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს სხვა ქვეყნებისა და ტერიტორიების ასოციაციის საკითხს.

თავად დოკუმენტი შედგება 8 თავისაგან, 39 მუხლისა და 4 დანართისაგან.

ასოცირებული წევრობის სტატუსის სანაცვლოდ ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს აკისრებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და სასამართლო რეფორმების გატარების ვალდებულებას.

ამის სანაცვლოდ კი, ასოცირებულ წევრებს ევროკავშირის ზოგიერთ ან ყველა ბაზარზე თავისუფალი წვდომა აქვთ, მათ შორის, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ბაზარზეც. ასოცირებული წევრები ასევე იღებენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ასოცირების შეთანხმება ხშირ შემთხვევაში მოიცავს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასაც.

თავისუფალ სავაჭრო ზონაში შემავალ ქვეყნებს ეხსნება საბაჟო გადასახადები, სავაჭრო შეზღუდვები, ვითარდება ინფრასტრუქტურა, მომსახურების სფერო, იზრდება საექსპორტო შესაძლებლობები.

პირველი სახელმწიფოები, ვინც ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, საბერძნეთი და თურქეთია (1969 წ.)

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, უსაფრთხოება, ეკონომიკა და კულტურა. ის არ აძლევს პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანების გარანტიას, თუმცა ევროკავშირთან ურთიერთობაში გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს.ევროკომისიის მიერ 2004 წელს შემუშავებული დოკუმენტი"ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სტრატეგია და მოხსენებები ქვეყნებზე" ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს ევროპული ღირებულებების პატივისცემას, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა, ადამიანის (მათ შორის, უმცირესობების) უფლებების დაცვას, კეთილმეზობლურ ურთიერთობების დამყარებას და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვას ავალდებულებს. ასევე, არის მოლოდინი იმისა რომ ევროკავშირისპარტნიორი ქვეყნები ტერორიზმთან ბრძოლისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პასუხისმგებლობასაც აიღებენ. მათ ასევე ევალებათ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვა და კონფლიქტების მოგვარებაზე ზრუნვა.

"აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში" შედიან: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი,აზერბაიჯანი,საქართველო,ალჟირი,ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, სირია, ტუნისი, და პალესტინის ავტონომია.

რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, მისი ხელმომწერები არიან: ალბანეთი, ალჟირი, ანდორა, ბოსნია, და ჰერცეგოვინა, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ისლანდია, კანადა, ლიბანი, ლიხტენშტეინი, მაკედონიის რესპუბლიკა, მაროკო, მექსიკა, ნორვეგია, პალესტინის ავტონომია, სანმარინო, სერბეთი, ტუნისი, თურქეთი, ფარერის კუნძულები, მონტენეგრო, ჩილე,

შვეიცარია, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა.

მოლაპარაკების სტადიაში არიან: საქართველო, კოლუმბია, პერუ, მოლდოვა, ეკვადორი, საუდის არაბეთი, სირია, უკრაინა.

"აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა არ ითვალისწინებს ასოცირებულ წევრობას და მისი მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ–ქვეყნების ევროკავშირთან მეტად დაახლოებაა. ღია ბაზრები და ეკონომიკური ინტეგრაცია არსებითია მდგრადი განვითარებისთვის, რაც პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველს წარმოადგენს, სწორედ ამას ისახავს მიზნად აღმოსავლეთ პარტნიორობა, ხელს უწყობს ევროკავშირის წესებთან და სტანდარტებთან დაახლოებას, მხარს უჭერს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებს და საგრძნობლად აუმჯობესებს ადამიანების ცხოვრებას.

2. შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი

შეთანხმების ეკონომიკურ ნაწილში საუბარია იმაზე, რომ ევროკავშირმა და საქართველომ ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, თავიანთი ეკონომიკების დადებითი მხარეების უკეთ გათვითცნობიერებით და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვით. 'საქართველომ უნდა იბრძოლოს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად და თანდათანობით დაუახლოვოს მისი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის სტანდარტებს, რათა ჯანსაღი მაკროეკენომიკური გარემო ჩამოაყალიბოს აღნიშნულია შეთანხმებაში.

ამ მიზნით, მხარეება ხელი უნდა შეუწყონ რეგულარულ ეკონომიკურ დიალოგს, რომელიც მიმართული იქნება:

— მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გაცვლისკენ, რაც მოიცავს როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, ასევე ეკონომიკურ განვითარებას.

— გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცვლა ისეთ სფეროებში როგორიცაა ფინანსები, მონეტარული და სავალუტო პოლიტიკის ფარგლებში.

— ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა რეგიონული ინტეგრაციის მიმართულებით, ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩათვლით.

— ორმხრივი თანამშრომლობის განხილვა ეკონომიკის, ფინანსურ და სტატისტიკურ სფეროებში.

რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ საქართველოს შეუძლია ისარგებლოს ევროკავშირის შესაბამისი დაფინანსების მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით. საქართველოს ასევე შეუძლია სარგებელი მიიღოს ევროპის საინვესტიციო ბანკისგან, ევროპისრეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და სხვა საერთასორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან. ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმ მიზნების მიღწევაში რასაც შეთანხმება ითვალისწინებს და რაც უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი მიმართულებების განხორციელებით:

— ფინანსური დახმარების შესახებ მთავარი პრინციპები გადმოღებული უნდა იყოს ევროკავშირის შესაბამისი დებულებიდან 'ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ".

- ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის პრიორიტეტული სფეროები, რომელზეც მხარეები თანხმდებიან, უნდა იყოს გაწერილი ყოველწლიური პროგრამების სახით, რომელიც წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს შეთანხმების შესაბამისად. ის თანხები, რომელიც ამ პროგრამებში იქნება გაწერილი, მიმართული იქნება პირველ რიგში იმ პროექტებზე, რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებს და, რა თქმა უნდა, საქართველოს საჭიროებებზე.

— იმისათვის, რომ რესურსების ოპტიმალური გამოყენება მოხდეს, მხარეებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ევროკავშირის დახმარება ხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით სხვა დონორ ქვეყნებთან ერთად, ასევე დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად.

— ფუნდამენტური სამართალი, ადმინისტრაციული და ტექნიკური საფუძვლები ფინანსური დახმარებისა, დადგენილია შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ.

— ასოციაციის საბჭოს ეცნობება იმ პროგრესის შესახებ, რაც ფინანსურ მხარდაჭერას და მის ფარგლებში განხორციელებულ შედეგებს მოყვება. ამ მიზნით, მხარეების შესაბამისმა ორგანოება უნდა უზრუნველყონ მუდმივი მონიტორინგი და შეფასება მიმდინარე პროცესებზე.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, დამოუკიდებელი კვლევის მიხედვით, რომელიც კვალიფიციურმა ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე კვლევითმა ორგანიზაციამ ჩაატარა, დადგინდა, რომ ღრმა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შედეგად საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი 12%–ით, ხოლო იმპორტი 7.5%–ით გაიზრდება. მოსალოდნელია მშპ–ს ზრდა 4.3% –ით ^292 მდე გრძელვადიან პერსპექტივა-

ში. ბუნებრივია, ეს გრძელვადიანი პროცესია და ბევრ სფეროში რეფორმების განხორციელებას მოითხოვს.

დასკვნა

საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას,აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ქვეყანაში კონკურენციის ზრდას განაპირობებს, რადგან ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს ეხსნება საბაჟო გადასახადები, სავაჭრო შეზღუდვები. გარდა ამისა, ვინაიდან, ეს პროცესი მრავალმხრივია, შესაბამისად საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტიც გაიზრდება საქართველოსთვის სავაჭრო შეზღუდვების შერბილების ფონზე, სტიმული მიეცემა ადგილობრივ წარმოებას და ამ პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში და ეს ქვეყანას დამატებით შემოსავლებს მოუტანს, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას.

ვფიქრობთ, სწორედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა უნდა იყოს სახელმწიფოს პრიორიტეტი და ამისათვის მან ყველაფერი უნდა გააკეთოს.

ასოცირების შეთანხმება, ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის ვაჭრობაში, საბაჟო პროცედურებსა და ხარისხის კონტროლში, ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს მიახლოვებას ევროკავშირთან.

საქართველო იმპორტის ქვეყანაა და მისი უარყოფითი სალდო ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც უფრო შემცირდება ის მით უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და მისი მოსახლეობისათვის.

გამოყენებული მასალები:

1.http://library.court.ge
2.http://ka.wikipedia.org
3.http://www.bpn.ge
4.http://bfm.ge
5.http://intermedia.ge
6.http://www.sazogadoeba.ge
7. http://civil.ge

STATE REGULATION OF BUSINESS THROUGH INTERNATIONAL AGREEMENTS, AND THE EXPECTED RESULTS OF THE ASSOCIATION AGREEMENT

NATIA TETUNASHVILI
PHD student of GTU
E-mail: natiatetunashvili@gmail.com

Summary

The article demonstrates the essence of international agreements and its importance in terms of state regulation of business, as well as a detailed overview of the present and one of the most important and current international agreement - ”Association Agreement”, its structure and meaning.

in article are discussed the agreement imposes obligations and duties to the States Parties and the general purpose of this agreement.

Also discussed what the possible consequences might bring the “Association Agreement” in terms of international trade.